საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კარიჭაშვილი დავით გიორგის ძე

კარიჭაშვილი დავით გიორგის ძე (1862, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 26. VII. 1927, თბილისი), მწერალი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი. 1876 დაამთავრა გორის სას. სასწავლებელი. იმავე წელს ჩაირიცხა თბილ. სას. სემინარიაში, რ-იც დაამთავრა 1882. სწავლა განაგრძო პეტერბ. უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტზე, შემდეგ კი პარიზში – სორბონის უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტზე. 1885 საქართველოში დაბრუნდა. თავდაპირველად თბილ. სათავადაზნაურო სკოლაში ასწავლიდა ქართ. ენას, შემდეგ კი თბილ. ქართ. გიმნაზიაში – ქართ. ენასა და ისტორიას.

1885-იდან კ-ის (ზოგჯერ ფსევდონიმით – დეკანოზიძე) კრიტ.- პუბლიც. წერილები, მოთხრობები და გამოკვლევები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში („დროება", „თეატრი", „მოამბე", „ჯეჯილი", „ვალი", „ივერია" და სხვ.). 1887 ცალკე წიგნაკად გამოსცა მოთხრ. „სამი მსხვერპლი". 1885–92 იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მდივანი, 1921–27 – უნ-ტის სიძველეთსაცავის მცველი. 1905 შეადგინა „კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა" (II გამოცემა, 1911).

კ. იყო ფართო პროფილის მკვლევარი. ავტორია რუსთველოლოგიური ნაშრომებისა: «„ვეფხისტყაოსანის" ახალი გამოცემის რეცენზიის გამო» (1904), «„ვეფხისტყაოსნის" შედგენილობა» (1913); 1903 და 1920 გამოსცა „ვეფხისტყაოსანი", რ-საც საფუძვლად დაედო პოემის 1888 დაბეჭდილი ტექსტი. კ. იყო ა. ყაზბეგის *თხზ.* სრული კრებულის (1910), ა. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიის" (1913, 1919), ნ. ბარათა-შვილის ლექსებისა და წერილების კრებულის (1910) რედაქტორი. აქვს გამოკვლევები

ქართ. ქორონიკონის, ქართ. ანბანის წარმოშობისა და განვითარების შესახებ („ხუცური ანბანი" 1910, 1914), აგრეთვე ნაშრომები საქართვ. ისტორიაში („როსტომ მეფე", 1894; „საქართველო მეთორმეტე საუკუნეში", 1902; „საქართველოს მოკლე ისტორია", 1908 და სხვ.). მასვე ეკუთვნის „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია" (1929).

კ. ავტორია ქართ. გრამატიკისა („ქართული ენის გრამატიკა. ეტიმოლოგია"). დაიბეჭდა 1930, მისი გარდაცვალების შემდეგ (შედგენილი იყო 1924). შეიძლება ითქვას, რომ კ-ის გრამატიკა ერთგვარი წინამორბედია მომავალი ნამდვილი მეცნ. გრამატიკისა, რ-იც ჩვენში XX ს. 30-იანი წლებიდან შეიქმნა.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი ლ., დავით კარიჭაშვილი, რედაქტორ-გამომცემელი და ქართული ბეჭდვითი სიტყვის ისტორიკოსი, «მწიგნობარი», 2002, №2; ც ა ი შ ვ ი ლ ი სოლ., დ. გ. კარიჭაშვილი, კრ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, [ტ.] 2, თბ., 1955.

ს. ცაიშვილი

ა. მარტიროსოვი